

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, შპს „მარნეული ტვ“ ს 2019 წლის ანგარიში**

მოგახსენებთ, რომ სამაუწყებლო კამპანია შპს „მარნეული ტვ“ თავის საქმიანობას ეწევა, როგორც ავტორიზებული პირი. ავტორიზაციის ნომერია BR-1018 ავტორიზაციის თარიღი 24/01/2013წელი. მაუწყებლის ავტორიზაციის მონაცემებია B.1 ტელემაუწყებლობა.სამაუწყებლო კამპანია შპს „მარნეული ტვ“ თავის საქმიანობას ახორციელებს ავტორიზაციით მიღებული მოთხოვნათა შესაბამისად. 2019 წლის თებერვლამდე ვმაუწყებლობდით ს/ს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის“ ღია ციფრული მუქსის მეშვეობით. ხოლო ამავ წლის ზაფხულიდან ვმაუწყებლობთ შპს „ომეგას“ ციფრული ღია მუქსით. ასევე 2018 წლის აპრილიდან „აზერკოსმოსთან“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი ტელემაუწყებლობა ვრცელდება ღიად, თანამგზავრ „აზერსპეისის 1“ ის მეშვეობით. ასევე 2014 წლის აპრილიდან ჩართული ვართ „გლობალ TV“ ში მაგთის სტის კატივის და სხვა საკაბელო ქსელებში.ვმაუწყებლობთ ასევე myivideo.ge ს მეშვეობით. საანგარიში პერიოდში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია, დროულად წარედგინა მოთხოვნის შესაბამისი ფორმით. შესაბამისობის დეკლარაცია გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე [www.marneulitv.ge](http://www.marneulitv.ge) გვაქვს ოფიციალური ფეისბუქ და იუთუბის გვერდები. ჩვენი ტელეკომპანია დღეღამეში მინიმუმ 17 სთ -ს მაუწყებლობს. ჩვენს პროგრამულ ბადეშია : ყოველდღიური ახალი ამბები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე (პირდაპირი ეთერი) საღამოს 19 სთ. შაბათ კვირის გარდა და ახალი ამბების გამოშვებები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე დაიჯესტის სახით, საათში ერთჯერ ან ორჯერ. ჩვენი კონტენტი შეისცავს ასევე თოქშოუებს.: „ჩვენი საქმე“, „ეს ქვეყანა შენია“, შემოქმედებით მინი პროგრამას „ო მუზავ ჩემო“, „კინოს სამყაროში“. 2019 წელს დავამთავრეთ რვა სერიანი ისტორიულ დოკუმენტური ფილმის გადაღებებისა და მონტაჟის პროცესი ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე, სახელწოდებით „საქართველო 1917-2017 ასი წელი რუსეთის რევოლუციიდან“. ვახორციელებთ ასევე პირდაპირ ტელე-ჩართვებს სხვადასხვა საინტერესო მოვლენათა ეპიცენტრებიდან. ასევე ვახორციელებთ მრავალფეროვან საგრანტო ტელე პროექტებს. შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე ვიღებთ სხვადასხვა მედია ორგანიზაციებიდან და ტელეკომპანიებიდან მზა ტელეპროდუქტებს ეთერში განსათავსებლად. ტელეპროგრამების სრული ბადე ყოველკვირეულად იტვირთება საქართველოს კომუნიკაციების კომისიის შესაბამის საიტზე. საინფორმაციო პროგრამების მომზადებისას მაქსიმალურად ვცდილობთ მაყურებელს მივანოლოთ მრავალფეროვანი და დაბალანსებული ინფორმაცია. მკაცრად ვიცავთ ავტორიზაციისა და კანონის მოთხოვნებს. თვითრეგულირების მიმართულებით ტელეკომპანიაში მუშაობს დავებისა და განხილვების ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც ცვლილებებიარ მომხდარა.გაერთიანებული სააპელაციო საბჭოს დელეგირებული უფლება საერთო კრების საფუძველზე გადაცემული აქვს „მედია კანცელ ჯი, ს, ეს უკანასკნელი შესაბამისი დებულების საფუძველზე გამჭვირვალობასაც უზრუნველყოფს. 2019 წლის განმავლობაში საჩივრებს ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით: შპს „მარნეული ტვ“ ს დირექტორი:



შალვა შებლაძე